პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ქ.წყალტუბო

ივლისი, 2026 წელი

„ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მარტის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შეტანილ იქნეს ცვლილება „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მარტის №10 დადგენილებაში (სსიპ ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ ვებ. გვერდი www.matsne.gov.ge. სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.122.016671. თარიღი: 31/03/2023) და ამ დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ მუხლი 2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი საჯარო მოხელეები

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი არიან წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების დებულებით განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულების საჯარო მოხელეები (ზედამხედველობის სამსახურის და ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის საჯარო მოხელეები).

2. ზედამხედველობის სამსახურის საჯარო მოხელეები უფლებამოსილი არიან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები შეადგინონ: საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55^2, 55^6, 64^2, 77^1, 82^5 (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში), 125-ე მუხლების მე-8 და მე-16 ნაწილებით, 125^4, 134^1, 135-135^1 მუხლებით, 146^1, 148-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 150-ე, 150^1, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 152, 152^2, 152^8, 153^3 მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით, 153^4, 156^2, 156^4, 158^5 მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 159, 159^1, 166^2, მუხლებით, საქართველოს კანონის `ნარჩენების მართვის“

კოდექსის 31–35-ე, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილით, 46-ე მუხლით, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-80 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე.

3. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის საჯარო მოხელეები უფლებამოსილი არიან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შეადგინონ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 43^{1}, 43^{2}, 46^{5}, 46^{6}, 103, 103^{2}, 172^{8}, 172^{9} მუხლებისა და 172^{10} მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე.“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მოამზადა: მ. მამისეიშვილი

შეთანხმებულია: მ.ჭელიძე

ი.გაბუნია

გ. კვასტიანი